<u>შუალედური (1) წერის/გამოცდის საკითხები საქართველოს</u> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში

საგნის ხელმძღვანელი: პროფ. მაია კოპალეიშვილი

გამოყოფილი დრო: 2 სთ

საკითხები მოვა ვარიანტების მიხედვით. სტუდენტი ვალდებულია შემოთავაზებული სამი საკითხიდან საკუთარი არჩევანით

დაწეროს რომელიმე ორი საკითხი. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება რამდენად სრულად პასუხობს ტექსტი საკითხს.

შუალედური წერა/გამოცდა ფასდება 20 ქულის ფარგლებში, შესაბამისად, თითოეული საკითხი შეფასდება 10-10 ქულის ფარგლებში.

გაითვალისწინეთ, საგანში სტუდენტი შეფასდება შემდეგი 3 მიმართულებით:

- ✓ **ორი შუალედური გამოცდის შეფასება** - 20-20 ქულა;
- ✓ **დასკვნითი (საბოლოო) გამოცდის შეფასება** - 40 ქულა;
- ✓ **რომელიმე <u>ოთხ ლექციაზე</u> წერითი გამოკითხვის/სამუშაოს შესრულება** - 20 ქულა (თითოეული 5 ქულა). მესამე კომპონენტის მიზნებისათვის დამატებით გამოიგზავნება შესაბამისი მასალა, რომელიც აიტვირთება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ საერთო ელმისამართზე.

1. ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანები. საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შესახებ. ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა თავიდან აცილება, კანონიერების უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული სამართალდაღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოქმედება **(თავი 1).**

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება. ასაკი.

განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენა. უკიდურესი აუცილებლობა და აუცილებელი მოგერიება. შეურაცხადობა. თანამდებობის პირთა, სამხედრო მოსამსახურეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პასუხისმგებლობა. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევა **(თავი 2).**

3. ადმინისტრაციული სახდელი, მიზნები, სახეები (განმარტეთ თითოეული ადმინისტრაციული სახდელი). ძირითადი და დამატებითი სახდელები **(თავი 3).**

4. ადმინისტრაციული სახდელის დადება, ზოგადი წესი. შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, პასუხისმგებლობა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. სახდელის ვადების გამოანგარიშება. ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება სახდელდაუდებლად. მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და წესი **(თავი 4).**

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები), კომპეტენციის გამიჯვნა. თანამდებობის პირთა უფლებამოსილება **(თავი 15.)**

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების ამოცანები, წესი. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდრღვევის საქმის წარმოებას. ადმინისტრაციული სამართალდაღვევის საქმის ადგილზე განხილვა. მტკიცებულებანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, მათი შეფასება **(თავი 17).**

7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი. ოქმის გაგზავნა. შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი არ შედგება. დამრღვევის მიყვანა **(თავი 18).**